ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
საბაკალავრო პროგრამა

კურიკულუმი

ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	**სამართლის სკოლა**
პროგრამის დასახელება	**სამართალი**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სამართლის ბაკალავრი (Bachelor of Law)
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	**240 ECTS კრედიტი** **8 სემესტრი** (1 კრედიტი = 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	დავით მაისურაძე - ასოცირებული პროფესორი ზაზა მეიშვილი - პროფესორი ქეთევან ერემაძე - პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2011 წელს და განახლებულია 2024 წელს პროგრამა შესაძლოა განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ ერთიანი ეროვნული გამოცდების წესით ჩარიცხული აბიტურიენტები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ სამი გამოცდა: 1. ქართული ენა და ლიტერატურა; 2. უცხო ენა; 3. ისტორია, მათემატიკა ან სამოქალაქო განათლება უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

სამართლის საბაკალავრო პროგრამის მიზანია:

მოამზადოს კონკურეტუნარიანი სპეციალისტი სამართლის დარგში, რომელსაც/რომელიც:

ა) ექნება ფართო ცოდნა სამართლის არსის, ძირითადი პრინციპების, ეროვნული სისტემის თავისებურებების, ხოლო საჯარო, სისხლის, კერძო და საერთაშორისო სამართლის ძირითადი საკითხების სპეციფიკის შესახებ .

ბ) შეძლებს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირებას , მათ შეფასებას და პრობლემის გადაწყეტისთვის საჭირო იურიდიული მოქმედების განსაზღვრას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

გ) შეძლებს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაბამისი ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

გ) შეძლებს მოქმედებას იურისტის პროფესიული ქცევის წესებისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემის გზით.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. აღწერს სამართლის არსს, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის ძირითად მეთოდებს, სამართლის ნორმის ძირითად სახეებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს.
2. განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს. განმარტავს საჯარო, სისხლის და კერძო სამართლის ძირითად არსს, ეროვნულ სისტემას, მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის თავისებურებებს, აღწერს საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას.
3. ადგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს, (მათ შორის სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების, ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს), შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას.
4. აანალიზებს სამართლის წყაროებს, ნორმებს, ამოიცნობს კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ პრობლემებს და სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს.
5. მსჯელობს სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი ფორმით.
6. მოიძიებს საჭირო ინფორმაციას ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროების, სასამართლო პრაქტიკის, სამეცნიერო სიახლეებისა და საკანონმდებლო ცვლილებების დამუშავების გზით, ავლენს ცოდნის მუდმივი განახლების უნარს.
7. პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, იცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტებს და მოქმედებს პროფესიული ქცევის წესების შესაბამისად.

პროგრამის სტრუქტურა

6 ***კრედიტი*** - შესავალი თანამედროვე აზროვნებაში 1
6 კრედიტი - აკადემიური მუშაობის ტექნიკები
24 კრედიტი - ინგლისური ენა

ძირითადი სწავლის სფერო
186 კრედიტი - სამართლის სპეციალობის (დარგობრივი) კურსები
126 კრედიტი - სამართლის სპეციალობის სავალდებულო კურსები
6 კრედიტი - სამართლის შესავალი კურსი
30 კრედიტი - საჯარო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
54 კრედიტი - კერძო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
30 კრედიტი -სისხლის სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
6 კრედიტი - საერთაშორისო სამართლის ბლოკი (სავალდებულო)
60 კრედიტი - სამართლის არჩევითი კურსები (სამართლის არჩევითი კურსებიდან სტუდენტმა უნდა აირჩიოს მინიმუმ 60 კრედიტი, სტუდენტი არ არის შეზღუდული საგნები აიღოს სხვადასხვა ბლოკიდან)
საჯარო სამართლის არჩევითი ბლოკი
კერძო სამართლის არჩევითი ბლოკი
სისხლის სამართლის არჩევითი ბლოკი
საერთაშორისო სამართლის არჩევითი ბლოკი
სამართლის არჩევითი ბლოკი

18 კრედიტი - თავისუფალი კომპონენტი: არჩევითი კურსები - თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საუნივერსიტეტო კურსი ან ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული კურსები)

სამართლის საბაკალავრო პროგრამაში პრაქტიკული უნარების განვითარება გათვალისწინებულია როგორც სხვადასხვა სასწავლო კურსებში არსებული თემატიკის პრაქტიკული სწავლებით, აგრეთვე პრაქტიკული სასაწავლო კურსების შეთავაზებით (პრაქტიკული კომპონენტი). პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით გამოყენებული იქნება კაზუსების ანალიზი, იმიტირებული პროცესები, როლური თამაშები, სიმულაციები, იურიდიული დოკუმენტების შედგენა/ანალიზი, სასამართლო გადაწყვეტილებათა განხილვა და ანალიზი და სხვა პრაქტიკული ხასიათის პროექტები.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- კაზუსის ამოხსნა
- ანალიზი და სინთეზი
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- როლური და სიტუაციური თამაშები (იმიტირებული პროცესი)
- დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი

პერსონალი (მოწვეული ლექტორი/მკვლევარი/აკადემიური პერსონალი) შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.

სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული

სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. შეფასების მეთოდები, კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. სწავლების პროცესში განმავითარებელი უკუკავშირის მიღების მიზნით, სტუდენტებს შეეძლებათ ისარგებლონ ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრებით ამ მიზნით გამოყოფილი საკონსულტაციო საათის ფარგლებში ან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე .
დასაქმების სფეროები
სამართლის ბაკალავრს შეუძლია საქმიანობის განხორციელება საჯარო, კორპორაციულ, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. იმისთვის, რომ სამართლის ბაკალავრის ხარისხის მქონემ შეძლოს ადვოკატის, პროკურორის ან ნოტარიუსის პროფესიით საქმიანობა, მან უნდა გაიაროს სპეციალობაში შესასვლელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა, იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც არ მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი. ამავე დროს, საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს სამაგისტრო საფეხურზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებაზე.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
• სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“; • პროგრამა „Turnitin“ და “Moodle“; • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის ელექტრონული ბაზები); • უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები; • სალექციო აუდიტორიები; • სამართლის სკოლის კლინიკები; • სამართლის სკოლის კვლევითი ცენტრები.